Rarely Fairy Tale

შეიტყვე მეტი ადამიანის პაპილომავირუსის, საშვილოსნოს ყელის კიბოს პრევენციისა და აპვ-სთან დაკავშირებული სხვა სიმსივნური დაავადებების შესახებ!

#COOLTAS

Mallow Flower Foundation

For HPV prevention and for the recovery of women with gynecological cancers

როგორ სწრაფად ჩაიფრინა ბოლო რამდენიმე წელმა!

როგორ მალე გაიზარდე! უკვე ნამდვილი თინეიჯერი ხარ! დროა, იცოდე როგორ დაიცვა საკუთარი ჯანმრთელობა.

გარემოსა და ჩვენს ორგანიზმში უამრავი სხვადასხვა ვირუსი და ბაქტერიაა. ვირუსები წარმოადგენენ პათოგენურ აგენტებს, რომლებიც სხვადასხვა დაავადებას იწვევენ.

დარწმუნებული ვარ, უკვე გსმენიათ ამ ძალიან სერიოზული, ე.წ. სიმსივნური და ავთვისებიანი დაავადებების შესახებ, რომლებიც, როგორც წესი, არ არიან ვირუსული წარმოშობის და, სამწუხაროდ, ყოველთვის არც იკურნებიან. არსებობს მხოლოდ ერთი ტიპის კიბო, რომელიც ვირუსითაა გამოწვეული. ეს არის საშვილოსნოს ყელის ავთვისებიანი სიმსივნე.

ახლა მსურს ვისაუბრო საშვილოსნოს ყელის სიმსივნეზე და მოგაწოდოთ მნიშვნელოვანი ფაქტები მის შესახებ. ვიმედოვნებ, რომ ამის შემდეგ უკეთესად მოუვლით საკუთარ თავს!



ეს ვირუსი მუდმივად ჩვენ გარშემოა და ერთანაირად საშიშია ორივე სქესის წარმომადგენლებისთვის. განსაკუთრებული ზომების გარეშე მისი თავიდან აცილება შეუძლებელია. მნიშვნელოვანია იმის ცოდნა, რომ ის საფრთხეს უქმნის ძირითადად გოგონებსა და ქალბატონებს, რადგან თუ ეს ვირუსი დიდი ხნით დარჩება ქალის ორგანიზმში, მან შესაძლოა, გამოიწვიოს სერიოზული დაავადება - საშვილოსნოს ყელის კიბო.

ვირუსი

ამ ვირუსის სახელია ადამიანის პაპილომავირუსი, აგრეთვე, ცნობილი, როგორც აპვ. არსებობს რამდენიმე ტიპის აპვ, ზოგიერთი მათგანი განსაკუთრებით საშიშია, რადგან მათ შეუძლიათ იმ საშინელი დაავადების გამოწვევა, რომელზეც სწორედ ახლა ვსაუბრობთ - საშვილოსნოს ყელის სიმსივნის.



შენს ცხოვრებაში დადგება ის პერიოდი, როდესაც ისეთ ადამიანს შეხვდები, ვინც მოგეწონება. თქვენი ურთიერთობის გაღრმავებასთან ერთად ერთმანეთს დაუახლოვდებით, როგორც ემოციურად, ასევე ფიზიკურად.

დარწმუნებული ვარ, უკვე იცი, რომ, როდესაც ორ ადამიანს ერთმანეთი უყვარს, მათ აქვთ არა მხოლოდ ემოციური, არამედ ფიზიკური კავშირიც. ამას ვუწოდებთ სქესობრივ ცხოვრებას. შესაძლოა, უკვე გქონიათ სექსუალური განათლების გაკვეთილები თქვენს სკოლაში, ან შეიძლება, გისაუბრიათ ამ თემაზე მშობლებთან ან თქვენს მეგობრებთან.



აპვ უმეტესწილად სქესობრივად გადაეცემა, მაგრამ, საბედნიეროდ, შესაძლებელია მისგან თავის დაცვა.





თუ ვინმე ვირუსის მატარებელია, მათ შეიძლება, გაუცნობიერებლად გადასდონ იგი სხვებს სქესობრივი კავშირით. როდესაც აპვ ჩვენს ორგანიზმში შემოაღწევს, იმუნური სისტემა მის წინააღმდეგ ბრძოლას იწყებს. თუ ჩვენი იმუნიტეტი საკმარისად ძლიერია, ის ვირუსს სწრაფად დაამარცხებს. ამგვარად, აპვ ინფექცია შემთხვევათა უმრავლესობაში ყოველგვარი მკურნალობის გარეშე გაივლის. მაგრამ ამის შემდეგ, ჩვენ, შესაძლოა, აპვ-ით ცხოვრებაში რამდენჯერმე დავინფიცირდეთ.



საშვილოსნოს ყელის კიბო

თუ ჩვენი იმუნური სისტემა არ არის საკმარისად ძლიერი, რომ შეებრძოლოს ვირუსს და ის ჩვენს ორგანიზმში ყოფნას აგრძელებს, საშვილოს ყელის კიბოც კი შეიძლება განვითარდეს. შესაძლოა, ამას 5-10 წელიც კი დასჭირდეს! თუ აპვ ჩვენს ორგანიზმში მცირე დროით დარჩება, საშვილოსნოს ყელის კიბო, შეიძლება, არ განვითარდეს. სწორედ ამის გამოა აპვ-ს თავიდან აცილება ძალიან მნიშვნელოვანი.

რა ხდება აპვ ინფექციის დროს?

თუ აპვ ინფექცია მდგრადია(პერსისტენტულია), შესაძლოა, ცვლილება დაიწყოს. ამას სიმსივნის წინარე (პრეკანცერული) სტადია ეწოდება. თავდაპირველად, მას არ ახასიათებს სიმპტომები და არც რაიმე სახის ტკივილს იწვევს, მაგრამ მდგომარეობა შეიძლება, დამძიმდეს.

როგორ შემიძლია თავის დაცვა საშვილოსნოს ყელის კიბოსგან?

როგორ ფიქრობ, არსებობს კიდევ რაიმე სხვა ტიპის კიბო, რომელიც ყოველთვის ვირუსით არის გამოწვეული? პასუხი ძალიან მარტივია: არა, არ არსებობს. სწორედ ამიტომ უნდა ვებრძოლოთ ამ ვირუსს. თუმცა, ისევე, როგორც მრავალი სხვა ტიპის ინფექციის შემთხვევაში, აპვ-ს თავიდან აცილებაც(პრევენციაც) შესაძლებელია ვაქცინაციის გზით.



ვაქცინაცია და სკრინინგი

აცრით შეგვიძლია, თავიდან ავიცილოთ ჩვენი ორგანიზმის დასნებოვნება აპვ-ით და შემდგომში მის მიერ სერიოზული დაავადების გამოწვევის საფრთხეები. მალე დადგება დღე, როდესაც გოგონები გინეკოლოგებს დედებთან ერთად ესტუმრებიან.

ის დროდადრო გამოიკვლევს, ყველაფერი კარგადაა თუ არა.

ამას ჰქვია გინეკოლოგიური ზედამხედველობა(მონიტორინგი). ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სკრინინგს შეუძლია, დააფიქსიროს ცვლილებები საწყის სტადიებზე. ვაქცინაცია და სკრინინგი ერთად საუკეთესო დაცვაა.

ზედამხედველობა(მონიტორინგი). ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან სკრინინგს შეუძლია, დააფიქსიროს ცვლილებები საწყის სტადიებზე. ვაქცინაცია და სკრინინგი ერთად საუკეთესო დაცვაა.



ძვირფასო ბიჭებო!

ახლა შემიძლია, თქვენც მოგმართოთ, ყმაწვილებო. უმნიშვნელოვანესია, იცოდეთ, რამდენის გაკეთება შეგიძლიათ არა მხოლოდ საკუთარი, არამედ გოგონებისა და ქალების ჯანმრთელობის დასაცავადაც. თუ აპვ ორგანიზმში მოხვდება, ის შესაძლოა, იოლად გადაეცეს სხვას, როგორც წესი ფიზიკური კონტაქტის გზით. გადაცემა შეიძლება მოხდეს როგორც ბიჭების, ასევე გოგონების მხრიდან. ამგვარად, შემაწუხებელი სიმპტომები ან ზოგჯერ სერიოზული დაავადებებიც, შესაძლოა, განვითარდეს თქვენს ან თქვენი საყვარელი ადამიანების ორგანიზმში. იყავი ნამდვილი რაინდი! დაიცავი, მოუარე, თავიდან აცილე ეს დაავადება და მასთან ბრძოლის აუცილებლობა და დაიცავი საკუთარი თავიც!

არ დაგავიწყდეთ!

ეს დაავადება თავიდან აცილებადია!

გთხოვთ, განიხილეთ ვაქცინაცია საკუთარ მშობლებთან! თუ ეთანხმები, მოითხოვე ვაქცინაცია, რადგან შენ ძალიან მნიშვნელოვანი რგოლი ხარ აპვ-ს გადაცემის ჯაჭვში!

შენ უნდა იცოდე ამ დაავადების არსებობის, მისი მნიშვნელობისა და მისი თავიდან აცილების შესახებ.

აქციე ვაქცინაცია საზოგადოებრივ არჩევნად.

ისაუბრე შესაძლებლობებზე შენს მშობლებთან! თუ გჭირდება მეტი ინფორმაცია ან დახმარება, უყოყმანოდ მოგვმართე!



www.malyvavirag.hu

დაწერილია Mallow Flower Foundation
Hungary-სთვის : Icó Tóth, Viktória Naszvadi.
დამმოწმებელი : Dr. Tamás Major
ნახატი და რედაქტირება : coollab
ეს ბროშურა პაწია ვირუსის ამბის ნაწილია

დაფინანსება : Mallow Flower Foundation Hungary
ქართული თარგმანი : მაკო მუსერიძე, ENGAGe TEENs, საქართველო
ტექსტი მეცნიერულად შეამოწმა : MD. PhD. ეკატერინე სანიკიძე

2021

ENGAGe ESGO European Network of Gynaecological Cancer Advocacy Groups

ENGAGe TEENs ESGO European Network of Gynaecological Cancer Advocacy Groups